



ქ. ზუგდიდი

15.02.2018 წელი

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**განკარგულება №26**

**დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 29-ე მუხლის და „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტი) დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის N1 დადგენილების დანართის 34-ე მუხლის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების (დროშა და გერბი) დადგენის მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი.
2. ჯგუფი განისაზღვროს, შემდეგი შემადგენლობით:
  - ა) კონსტანტინე კაკავა - საკრებულოს ფრაქცია „კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე - ჯგუფის თავმჯდომარე;
  - ბ) ეკატერინე კიფაია - საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ და გენდერულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ჯგუფის წევრი;
  - გ) სანდრო სორდია - საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ჯგუფის წევრი;
  - დ) თამუნა ჯიქია - საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოქნება დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე - ჯგუფის წევრი;
  - ე) ჯონი ჯიქია - საკრებულოს ფრაქცია „მწვანეების“ თავმჯდომარე - ჯგუფის წევრი;
  - ვ) მიხეილ ჯობავა - საკრებულოს ფრაქცია „მრეწველების“ თავმჯდომარე - ჯგუფის წევრი;
  - ზ) პაატა ადამია - საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი - ჯგუფის წევრი.
3. დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს 3 თვის ვადით.
4. ჯგუფმა აღნიშნულ ვადაში განსახილველ საკითხზე უზრუნველყოფს შესაბამისი დასკვნის მომზადება.
5. მიღებული განკარგულება გადაეგზავნოს ჯგუფის წევრებს.
6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. N12).

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე



მამუკა წოწერია